

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს
ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული
საქართველო“-ს თავმჯდომარის ბესიკ კუპრაძის

მოხსენებითი ბარათი


ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 9 იანვარს გაიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს ფრაქციის სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 3- 14(თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე



ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი №3

ქლანჩხუთი

9.01.2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
თავმჯდომარე ზესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ზესიკ ტაბიძე, კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე, ციციხო მხაიძე, დავით მხარტიშვილი,
ლადო ნანაძე, გიორგი გვარჯალაძე, ზურაბ კუკულავა, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე, ცისანა
ურუშაძე, გიორგი ჩახვაძე, ოთარ პატიეშვილი, თორნიკე ტიკაძე, რევაზ კვერენჩილაძე და
ზაალ სანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და
ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-
დემოკრატიული საქართველო“-ში წევრთა ცვლილების შესახებ.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-
დემოკრატიული საქართველო“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების
გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: თამარ ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების
შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის
განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: თამარ ფირცხალაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ
ღონისძიებთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: თამარ ფირცხალაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: თამარ ფირცხალაიშვილი/

7. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ში წევრთა ცვლილების შესახებ საკითხი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე ზესიკ კუპრაძემ. მან აღნიშნა, რომ ფრაქციიდან გასვლის სურვილი გამოთქვს დეპუტატებმა ზურაბ კუკულავამ და ოთარ პატიეშვილმა. რასაც ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე ზესიკ კუპრაძემ, მისივე განმარტებით ფრაქციიდან წევრის გასვლის შემდეგ წესდებაში საჭიროა შევიდეს ცვლილება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად წარმოდგენილია 16 სოციალური პროგრამა. ესენია:

1. შრომუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 100000 ლარი.

(ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები და რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

დღეში ერთჯერადად კვება, უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში ორჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. 2017 წლის მაჩვენებლით სასადილოში იკვებებოდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 ბენეფიციარი, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებიდან 38 ბენეფიციარს კვირაში ორჯერ ოჯახში მიტანით მიეწოდებოდა საკვები. სულ პროგრამით ისარგებლა 98 ბენეფიციარმა, რომლებიც იყვნენ სოციალურად დაუცველნი.)

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 32 400 ლარი;

(მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 25 ლარს. პროგრამით ისარგებლებს მხოლოდ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. 2017 წლის მონაცემებით პროგრამით სარგებლობს 29 ოჯახი.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 45000 ლარი.

4. სხვადასხვა ომებსა კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 51000 ლარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 5500 ლარი.

6. ცენტრ „იანანას“ თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 10000 ლარი.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 39 800 ლარი.

8. იმულებიტ გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 10000 ლარი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 500000 ლარი

10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 30000 ლარი.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ტუბუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი 30000 ლარი.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 1000 ლარი.

13. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 3000 ლარი;
14. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 52 100 ლარი;
15. მედიკამენტების შექენაზე დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 35 000 ლარი;
16. შპს პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 4900 ლარი.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. მან განმარტა, რომ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას. კონკრეტული პროგრამის განხორციელების აუცილებლობას ვი შეისწავლის ასევე მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს. კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია: მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის შემთხვევაში – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის შემთხვევაში – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან ქულის ამონაწერი. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის შემთხვევაში – განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურისა სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში. ომის მონაწილე

ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის შემთხვევაში - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის შემთხვევაში - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის შემთხვევაში - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამი შემთხვევაში - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-გაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ (პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის შემთხვევაში - განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ტუტუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის შემთხვევაში-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის

შემთხვევაში - განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მედიკამენტების შეტენაზე დახმარების პროგრამის შემთხვევაში - განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის შემთხვევაში-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა);

მან ასევე აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულ განცხადებებს კომისიური წესით განიხილავს სამსახური თვეში ერთჯერ მაინც ან აუცილებლობის გათვალისწინებით. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატმა გიორგი ჩახვამემ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები: კერძოდ,

1.ის სოციალური პროგრამები, რომლის რეალიზებისათვის განმსაზღვრელია სარეიტინგო ქულა, ქულის არ არსებობის შემთხვევაში (მაგ. როდესაც ოჯახში ხდება წევრის ცვლილება, როდესაც ოჯახს საერთოდ არ მიუმართავს შესაბამისი სამსახურისათვის და ა. შ. მაშინ როცა საქმე გვაქვს უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებთან. მერის წარმომადგენლისა და დეპუტატის შუამდგომლობების და ასევე შესაბამისი სამსახურის მოკვლევისა და ანალიზის დასკვნის საფუძველზე გამონაკლისის სახით მოხდეს მათზე დახმარების გაცემა, რაც უნდა იქნას გათვალისწინებული გაცემის წესში.

2.ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდეს აღნიშნულ პროგრამაში მინიჭებული 120 ათასი სარეიტინგო ქულის გაზრდა 150 ათასამდე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 120 ათასიდან 150 ათასამდე ბენეფიციართა რაოდენობა არ არის ბევრი, რაც შესაბამისად დიდ თანხებთანაც არ იქნება დაკავშირებული.

3.სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს თანხის გაზრდა არაუმეტეს 1000 ლარამდე, 500 ლარის ნაცვლად. ვინაიდან წინა წლების გამოცდილებამ არაერთი უხერხულობა შექმნა, როდესაც უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომელთაც სახელმწიფო 70%-ს უნაზღაურებს და დარჩენილი 30%- ის გადახდის არანაირი საშუალება არ გააჩნია, გაცემის წესიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება აღნიშნული პროგრამიდან შესაბამისი ხარჯების დაფარვა.

4. თვლის, რომ ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან ამოღებული იქნას საინფორმაციო ზარათის მოთხოვნა. ასევე ამ პროგრამიდან ამოღებული იქნას არაუმეტეს 400 ლარის ზღვარის დაწესება.

5. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამასთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ უპატრონო მიცვალებულებთან ერთად ამ პროგრამაში მოხდეს იმ სოციალურად შეჭირვებული ოჯახების გათვალისწინება, რომელთა სარეიტინგო ქულა 40 ათას არ აღემატება.

დეპუტატმა ცისანა ურუშაძემ აღნიშნა, რომ უპრიანი იქნება თუ ერთჯერადი დახმარების პროგრამა შეეცვლება მედიკამენტების შესყიდვის პროგრამით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უზედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ლ) ლანჩუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ბუმბუს კიბოს დიაგნოზით ჩაოპერაციები ქალებისათვის.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.

ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს: მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააგნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაყვამაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

დაგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დაგენილების პროექტს: მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შექმნის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- ე) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მზარდაჭერის პროგრამა;
- ვ) სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
- ზ) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- თ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ი) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- კ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ლ) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

მან აღნიშნა, რომ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამებიდან ხდება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შუამდგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შემოსულ

განცხადებებს განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს: მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

7. სხვადასხვა :

დეპუტატმა ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ აგარაკის სასაფლაოზე არ არის საპირფარეშო და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ადამიანები აგარაკის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში არსებულ საპირფარეშოს იყენებენ, რაც გარკვეულ უხერხულობებს ქმნის. ამიტომ ეკლესიის წინამძღვარმა გამოთქვა მზაობა, რომ გამოყოფდა გარკვეულ ფართს ამავე ეზოში, თუკი მოხდება მუნიციპალიტეტის მხრიდან საპირფარეშოს აშენება.

დეპუტატმა ცისანა ურუშაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ბინის ქირავნობის პროგნოზი შეიცვლება კრიზისული ცენტრით ან სოციალური სახლით, სადაც იქნება დროებითი თავშესაფარი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობას ტყე-პარკიდან შემოს გამოტანის დროს ექმნება გარკვეული ბარიერები და ამ კუთხით საჭიროა მუნიციპალიტეტის ჩართულობა, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ მოუწოდა ფრაქციის წევრებს, რომ მეტი ყურადღება გამოიჩინონ უბნის ექიმების მიმართ.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე



ზესიკ კუპრაძე

ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ზესიკ ტაბიძეს
მამათის ადმინისტრაციული ერთეულის
მაჟორიტარი დეპუტატის ოთარ პატიეშვილის

განცხადება


ბატონო ზესიკ,

სურვილი მაქვს დავტოვო ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო".
გთხოვთ მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

განმცხ: ოთარ პატიეშვილი

ო. პატიეშვილი

08.01.2018



დაწახვით მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ზაქონ ზეხოვ უბოძეს
სეფლის აღმონებრაცული ერთეული
მაგთროქსანი დეპუტატის ზეჩაბ სანჯრაძე

ზ ა ნ ხ ბ ა რ ე ბ -

ზაქონ ზეხოვ.

სურვილი მაქვს დავსთვო
დამოუკიდებელი საქმიანობა!
მესაზმობს სპორტუნა.

ფრაქცია "ქართული ოცნება -
ერთობა" მთავრობით

გაწმეხ: ზეჩაბ სანჯრაძე

გ.სანჯრაძე


08.01.2018

8 01 18

ელანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
9.01.2018 წელი 14:00სთ

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. ზესიკ კუპრაძე	13 <u>51</u>	ბ. თაძ
2. ზესიკ ტაბიძე	14 <u>00</u>	ზ. თაძ
3. ვლადიმერ ნანაძე	13 <u>59</u>	ვ. ნანაძე
4. გიორგი გვარჯალაძე	13 <u>52</u>	ბ. გვარჯალაძე
5. გოდერძი ქურიძე		ბი. გოდერძიძე
6. ზურაბ კუკულავა		ბი. გოდერძიძე
7. კახა თედორაძე	14 <u>02</u>	კ. თედორაძე
8. რეზო კვაჭაძე		ბი. გოდერძიძე
9. ციცილო ჩხაიძე	13 <u>58</u>	ჩ. ჩხაიძე
10. ზაალ სანაძე	13 <u>53</u>	ზ. სანაძე
11. ცისანა ურუშაძე	14 <u>01</u>	ც. ურუშაძე
12. გიორგი ჩახვაძე	13 <u>54</u>	გ. ჩახვაძე
13. ოთარ პატიეშვილი		ბი. გოდერძიძე

14. დავით წხარტიშვილი		მე ფხრეაძე
15. თორნიკე ტიკაძე		მე ფხრეაძე
16. კახა ბოლქვაძე	13 <u>50</u>	
17. რევაზ კვერენხილაძე		მე ფხრეაძე